სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

ოდიში

1993
ხუთშაბათი
3
ივნისი
№22 (10613)
ფასი 5 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ—პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულს გული, უპირველეს ყოვლისა!

გზა — რწმენით გასავლელი

ამასწინათ ვიზეიმეთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. ამ ღირსსახსოვარ თარიღზე ფიქრისას ბუნებრივად გიჩნდება კაცს სურვილი, ერთხელ კიდევ გონების თვალი გადაავლო ეროვნულ — განმათავისუფლებელი მოძრაობის განვლილ ეტაპებს.

მოვიგონოთ, ვინ გასცა 1832 წლის შეთქმულება ქართველი პატრიოტებისა? უბინძურესი სულის ანტიქართველმა იასე ფალავანდიშვილმა.

ვინ მიყიდა 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა წითელ რუსეთს? სერგო ორჯონიკიძემ, ფილიპე მახარაძემ და მათმა სულიერმა ძმებმა.

1991 წლის 22 დეკემბერს რევანშიზმის ჟინით ანთებულმა, მაღალ სავარძლებს და პირად კეთილდღეობას დახარბებულმა ვაიქართველებმა ერთხელ კიდევ ლახვარი ჩასცეს ეროვნული თავისუფლების იდეას. ამაოდ ცდილობენ მავანნი დემოკრატიის, ეროვნულ —განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის დასაწყისად მიიჩნიონ დეკემბერ — იანვრის სამხედრო გადატრიალება.

ან როგორ გინდა იწამო ფაქტობრივი ხელისუფლების დემოკრატიული ბუნება, როცა თვით 26 მაისის დღესასწაული ორ ნაწილად გაყოფილმა ქართველობამ ცალ—ცალკე იზეიმა. უფრო მეტიც. პრესამ და ტელევიზიამ ყოველგვარი უხერხულობის გარეშე აუწყა ხალხს, რომ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მიტინგები დარბეულ იქნა. ასეთი ხერხებით და მეთოდებით, არა გვგონია დაძლეულ იქნას სიძულვილისა და გაუცხოების დამალონებელი სინდრომი, რაც საზოგადოებას დაუფლებია.

ვერა, ვერ დავეთანხმებით ევრეთწოდებული ელიტარული ინტელიგენციის წარმომადგენელთა მტკიცებასაც იმის თაობაზე, თითქოს საქართველოს სულიერ გამთლიანებას ხელს უშლიდნენ გონებადახშული, კერპთაყვანისმცემლობის იდეა—ფიქცით გამსჭვალული მოქალაქეები.

მათ რატომღაც ავიწყდებათ, რომ ამ „მდაბიო ხალხის“ წიაღში ფეთქავს დიახაც ჭეშმარიტი ქართული ნერვი. ესენი არიან ნამდვილი პატრიოტები საკუთარი მამულისა, რომლებიც იწევენ ჭირნახულს, უვლიან საკუთარ ოჯახებს, პატიოსან შვილებს უზრდიან ქვეყანას. მათ აღარ აწუხებთ სავარძლებზე და მილიონებზე ფიქრი. მათი შინაგანი შფოთვის საგანი უსამართლობით, უხეში ძალით შეურაცხყოფილი და დამცირებული საქართველოა. სწორედ ამ ტკივილის მატარებელი ხალხი შეიკრიბა 26 მაისს ზუგდიდში, მრავალრიცხოვან მიტინგზე, სადაც ერთხელ კიდევ ხმამაღლა გაცხადდა ფაქტობრივი ხელისუფლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება.

საყოველთაო პროტესტის ამ ხმას თან სდევდა იმედის ტონი, რწმენა იმისა, რომ ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობა ბოლოს და ბოლოს სწორად გაიცნობიერებს დღევანდელ ვითარებას და დადგება ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობასთან.

ჩაი — ჩვენი ეკონომიკის ხერხემალი

ამ ბოლო პერიოდის მღელვარე პოლიტიკური მოვლენები, შიდა დესტაბილიზაცია არნახული სიძნელეების წინაშე აყენებს მთელ ჩვენს რეგიონს. ქვეყნის მოყვარული, ჭეშმარიტი ეროვნული ძალები ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ქმედითი მექანიზმების გამონახ— ეკონომიკის ინტერესების პრიზმაში.

ახლა, როგორც არასდროს, გვჭირდება მეჩაიეთა მუხლჩაუხრელი შრომა და პატრიოტული ძალისხმევაც. დარსა და ავდარში ძალების დაუზოგავად უნდა გავისარჯოთ, რომ „პური ჩვენი არსობისა“—ჩაის ნედლეული უდ—

მონდომებას საზრიანობაც მივაყოლოთ

ვით ძალისხმევას არ აკლებენ კრიზისული მდგომარეობიდან რეგიონის გამოყვანას. კვლავ საგანგებო ყურადღების ცენტრშია ჩაის წარმოების, ჩვენი ეკონომიკის ამ ძირითადი დერძის მაქსიმალური უკუგებით ამოქმედება. წარსულს ჩაბარდა მეჩაიეთა სარეკორდო მოსავლის შესახებ პომპეზური პატაკების ჩაბარების ყბადაღებული პრაქტიკა, როცა აქცენტები უფრო მეტად კეთდებოდა გამოგონილ, არ არსებულ მონაცემებზე და არა ამ ტრადიციული დარგის წიაღში რეალურად არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენების ოპტიმალურ მექანიზმებზე. და ამაში იყო კონიუქტურული ლოგიკაც: დარგის პროგნოზირების პროცესისათვის ედირიქორა მეტროპოლიის ინტერესებს.

დღეს ჩაის წარმოების პრობლემა და მისდამი მიდგომაც რადიკალურად შეიცვალა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ დარგის განვითარებასთან დაკავშირებული ყველა ფაქტორი გაანალიზებულ იქნას ეროვნული ანაკარგოდ ავიღოთ. სწორედ ამ ეტაპზე, როცა ეს ესაა დაიწყება ჩაის კრეფის სეზონი, უნდა ვიჩენდეთ განსაკუთრებულ ორგანიზებულობას, სპეციალისტების, რიგითი მშრომელების არნახულ მობილიზებას, აგროტექნიკური ღონისძიებების სწორად წარმართვის უნარს.

და მთელი ამ კამპანიის დინამიურად წარმართვისათვის უპირველეს ყოვლისა საშურია მეჩაიეთა შრომის მატერიალური ნალისების მექანიზმების ამოქმედება. ამ კუთხით გაბედულ ნაბიჯების გადადგმა ნიშნავს იმ ძლიერი ეკონომიკური გასაღების პოვნას, რითაც თვისობრივად ახალ სიბრტყეზე უნდა იქნას გადაყვანილი ჩაის წარმოება. გვესმის, მეტად ძნელია ახლანდელი სიდუხჭირის ფონზე ამის გაკეთება, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს.

გისურვებთ წლევანდელი სეზონის ენერგიულად წარმართვას, ძვირფასო მეჩაიეებო. იმდაგვარ გარჯა—ღვწას და მონდომებას, რომელიც საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებითა და პრინციპებით იქნება სტიმულირებული.

„ბატონებო, გთხოვთ...“

„...დახუროთ გადამლილი გაზეთები, აქ სამკითხველო დარბაზი არ გახლავთ“. პარლამენტის ერთ—ერთ სხდომაზე ასე მიმართა ქალბატონმა რუსუდან ბერიძემ დეპუტატებს, რომლებსაც ეტყობათ, მათთვის არასაინტერესო საკითხის განხილვისას, მოწყენილობის ან ქუთუთოებზე მძიმედ დაკიდებული რულის გასაქარვებლად სხვადასხვა ჟურნალ—გაზეთი მოუმარჯვებიათ.

სპიკერატ —დეპუტატთა კორპუსის ასეთი ურთიერთობა უკვე არ არის ღიმილისმომგვრელი, საგონებელშია ჩავარდნილი ქართველობა, როდემდე უნდა გვშხამოს სხდომებმა, რომლებიც ჯერ კიდევ გონებაგაუხსნელ პირველკლასელებთან უტაქტო პედაგოგთა მიერ ჩატარებულ არასრულფასოვან გაკვეთილს მოგვაგონებს,

კომუნისტები რეპორტაჟებს უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზებიდან ყოველთვის თავს არიდებდნენ.

ვგონებ, აჯობებს, ჩვენი ხელისუფლება ამ საკითხშიც დაესესხოს ძველებს.

მშიერ—მწყურვალ —ტიტველთა ნერვებს გაფრთხილება უნდა.

Ნ. ᲥᲐᲠᲐᲘᲐ,

ამბობენ: „ფული ხელის ჭუჭყიაო“. სამწუხაროდ,— დღეს ამ ჭუჭყის გარეშე კაპიკია კაცის ფასი. წავიდა ის დრო, როცა პატიოსანი ადამიანის ხსენება კრძალვას და მოწიწებას იწვევდა ხალხში. ახლა ასეთი ადამიანები ძალზე უმწეონი მოჩანან და მედროვეებში მხოლოდ დამცინავ ღიმილს იწვევენ. შინაურებიც უნიათოს და უმარიფათოს უწოდებენ ასეთ ნათესავს და მისი კაცურ—კაცობა და თავმოყვარეობა ნაკლებად ახსენდებათ.

ადამიანის შრომით გალამაზების ლოზუნგსაც კითხვის ნიშანი დაესვა. მიწაზე თოხის დაუღლელად ქნევამ, როცა შრომისა და დანახარჯის უმცირეს საფასურსაც ვერ გიხდის სახელმწიფო, დააჩიავა კომუნისტური ფსიქოლოგიით გაზრდილი, კოლექტიურ საკუთრებას მიჩვეული გლეხი.

„მეუფენი“ ერთმანეთს აბრალებენ ხაზინის გაქურდვას. ფულის ნიშნის უქონლობით წუწუნიც მოდური გახდა. კუპონებმა კი, რომელიც ეროვნული ფულის შემოღებამდე, თითქოს მხსნელად მოგვივლინეს, მთლად აგვირია გზა—კვალი.

ბაზარში და კომერციულ მაღაზიებში რომ კუპონი

პოლიტიკაში ყველაფერი გათვლილია

უკან გადმოგიგდონ რა საკვირველია, როცა სახელმწიფო სექტორს დაქვემდებარებულ სავაჭრო ობიექტებში სათოფეზე არ იკარებენ მას.

„რუსის ფულის“ ზუმია საქართველოში.

გამკითხავი კი არავინ ჩანს. გაქვს? არა გაქვს? რითი სუნთქავ? რითი ცხოვრობ? ვის ინტერესებს.

ფულმა და დღევანდელმა ეკონომიკურმა სიტუაციამ ლამის ისე მომართოს ჩვენი ფსიქოლოგია, წარსული სამოთხედ მოგვაჩვენოს, მოგვანატროს და სამომავლოდ კი ისე მიგვატყუპოს „ჩვენს გამზრდელ დედა—რუსეთს“, როგორც არასდროს.

ეტყობა, დიდ პოლიტიკაში ყველაფერი გათვლილია.

Ი. ᲐᲠᲥᲐᲜᲘᲐ.

არ გამოგივათ!

ამ ბოლო დღეებში აფხაზეთში საომარი მოქმედება თითქოსდა შეწყდა. შედარებით ამოისუნთქეს ამდენი ბომბებისა და ჭურვების სკდომით, სროლით, სისხლით გატანჯულმა სოხუმელებმა, სხვა რაიონის მცხოვრებლებმაც. მაგრამ, როგორც დღევანდელი რეალობა გვარწმუნებს, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას დღემდე წაფარებული აქვს პოლიტიკური თამაშის ბინძური ფარდა. ვიღაცას ძალიან არ აწყობს ამ ძირძველ, ღვთით დალოცვილ კუთხეში მშვიდობამ დაისადგუროს. ისევ ისმის ტყვიის კაკანი, სადღაც სკდება ჭურვი, ილვრება სისხლი, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის ზონაში კვლავ გრძელდება პოზიციური ბრძოლები. რამდენ მზაკვრობას იტევს თავის თავში კულუმბეკოვისა და არძინბას პროვოკაციული განცხადებები რუსეთის პრეზიდენტის მიმართ. რეაქციული ძალები არნახულ სიძნელეებს უქმნიან დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირ ჩეჩენ ხალხს და მის ღირსეულ პრეზიდენტს. ბევრი მარჩიელობა არ არის საჭირო იმისათვის, რომ მიხვდე: აფხაზეთის და ჩეჩნეთის კოლიზიები ერთი და იგივე ბნელი ძალის ნამოქმედარია. მათ ვერ წარმოუდგენიათ კავკასიის ხალხების გაერთიანება.

მაგრამ თარგამოსის შთამომავალთა ნებას იმპერიული უხეში ძალა უკვე ველარ ჩაახშობს. დროა, ვაიპოლიტიკოსებმა თვალი გაუსწორონ რეალობას.

Ნ. ᲠᲐᲤᲐᲕᲐ.

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა...“

საყვარელო მკითხველებო, ალბათ გრძნობთ ყველანი, რომ თავისუფლების ქარი ქრის საქართველოში. კიდევ ცოტა ხანი და კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ამირანი თავს დაიხსნის ორთავიანი რუსული არწივის ჭანგებისაგან.

მაგრამ ჩვენ მაინც რეალისტები უნდა ვიყოთ: ჩვენ ტყვეობაში ვყავართ არამხოლოდ რუსულ იმპერიას, არამედ საკუთარ უწესობასაც. ყოველმა ქართველმა თავი უნდა დაიხსნას ჩვენი დამაქცევარი თვისებების, ჩვენი სიხარბის, შურის, სივერაგის, სულმოკლეობის ტყვეობისაგან, რომლებიც ლაოკოონის გველებით შემოგვეხვია სხეულზე. შინაგანი განწმენდის ამ მტკივნეული გზის გავლის გარეშე გაგვიჭირდება თავისუფლების კუნძულზე გასვლა.

ჩვენ უნდა ავაშენოთ დიდი საქართველო, ჭეშმარიტად ქართული საქართველო, სადაც ცხოვრებას არ ითაკილებდა იოანე ლაზი და გიორგი მთაწმინდელი, თედორე მღვდელი და ცოტნე დადიანი, ილია ჭავჭავაძე და დიდი კონსტანტინე.

ჩვენი ამჟამინდელი ტრაგიკული სინამდვილე განპირობებულია იმით, რომ გათელილია ხალხის ნება, თვით სამართლიანობის იდეა. დეკემბერ—იანვრის მოვლენებმა გამოიწვია ცხრა ბალიანი მიწისძვრის ტოლფარდი სულიერი ღელვა, სულიერი ქარიშხალი ქართველ ხალხში. ვიღაცას სურს ეს მოვლენა დაიყვანოს ზვიად გამსახურდიას — როგორც კერძო პიროვნების, კერძო პოლიტიკოსის განზომილებამდე.

ამ დებულებაზე ყოველ საღად მოაზროვნე ადამიანს უცილოდ ირონიულად გაეღიმება.

ყველას გვახსოვს, რა სიყვარულით ხატავდნენ ჩვენი სულმნათი მწერლები უბრალო გლეხკაცების სახეებს თავიანთ ნაწარმოებებში. გავიხსენოთ დიდი ვაჟას სიტყვები: „მე რომ მკითხოთ, როგორც ბევრად თუ ცოტად მცოდნეს ჩვენის მდაბიო ხალხის და ჩვენის ცხოვრებისა, —რომელი უფრო სინდისიერად ასრულებს თავის მოწოდებას, თუ მოვალეობას, უკანასკნელი გლეხი, თუ თავმომწონე რომელიმე ინტელიგენტიო? გლეხი—მეთქი, გიპასუხებთ“...

ანდა მოვიგონოთ დიდი ილია, რომელიც საქართველოს ისტორიის მთავარ უსახელო გმირად თვლიდა ჩვენს გლეხობას. ამის ნათელი დადასტურებაა ცნობილი დიალოგი კესოსა და არჩილისა „ოთარაანთ ქვრივში“.

უზომო სიყვარულით წერდნენ მდაბიო ხალხზე მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია და ერის სხვა სახელოვანი შვილები. „სწორედ მშრომელი მასების წიაღიდან მოედინება განახლებული, აქტიური, ძლიერი ენერგიაო,—წერდა ბატონი კონსტანტინე ერთერთ თავის ესსეში.

ეს ის მასაა, მკითხველო, რომლებსაც გონებაშეზღუდულმა ფსევდოინტელიგენციამ, ფარისევლთა ამ საკრებულომ სუნიანი ბრბო უწოდა, ბნელი, გაუნათლებელი მასა უწოდა. ნუთუ შეიძლება ამის შემდეგ რაიმე იწამო მათი ნააზრევისა და ნამოქმედარისა. სწორი იყო სულგანათლებული ვაჟა ფშაველა, რომ ცა ამისთანა ხალხს ტვინფრატუნა ინტელიგენციას უწოდებდა.

ყველას გვახსოვს, რა პრობლემებს დაეჭიდა ბატონი ზვიადი თავის ბრწყინვალე სტატიაში: „კაცობრიობის დილემა“. ზნეობრივი კრიზისი გლობალური პრობლემა გახლავთ. მაგრამ ამ ბოლო პერიოდში შეინიშნება მსოფლიო პოლიტიკური ზნეობის გაჯანსაღების ერთგვარი ტენდენციები. უზნეობაში იმხილებიან იტალიის პრემიერ—მინისტრი ანდრეოტი, ესპანეთის პრეზიდენტი გონსალესი, საფრანგეთის სოციალისტური მთავრობის წარმომადგენლები. თვით კოლი იძულებულია დამორჩილდეს გერმანიის კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილებას მასტრიხტის რეზოლუციის რატიფიცირების დაყოვნების თაობაზე და ა. შ.

და მე მჯერა, მოვა დრო, და კლინტონი, ელცინი, კოლი, მეჭორი და სხვა დიდი ხელისუფალი მიხვდებიან, რომ კავკასიის დესტაბილიზაციის პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელი გახდება ისე, თუ არ წავიდა, ასპარეზიდან საქართველოს არაკანონიერი მთავრობა.

ამასწინათ, აბაშაში დავესწარით „კონსტანტინობას“. და ვიხილეთ ჭეშმარიტი ქართველობის სულიერი ბორგვა, შევიგრძენით ჭეშმარიტ, თავისუფალ საქართველოს და მისი კანონიერი ხელისუფლების დაბრუნებას მონატრებული ხალხის საერთო გულისთქმა.

ჭეშმარიტი საქართველოსათვის ბრძოლის ამ წყურვილს და ცხრომა არ უწერია.

ა. ალანია.

ჩვენ უნდა ავაღორძინოთ

შეიქმნა სამეგრელოს რეგიონის აღორძინების ფონდი. მისი ხელმძღვანელობა მოუწოდებს როგორც სამეგრელოს რეგიონის, ასევე სრულიად საქართველოს ჭეშმარიტ მამულიშვილებს, რესპუბლიკის გარეთ მცხოვრებ ჩვენს ძმებსა და მეგობრებს თავიანთი წვლილი შეიტანონ დანგრეული და დარბეული სამეგრელოს რეგიონის აღდგენის საქმეში.

სამეგრელოს რეგიონის აღორძინების ფონდს გახსნილი აქვს ანგარიში აგრომრეწვბანკის ზუგდიდის განყოფილებაში, რომელის ნომერია —70083.

ფონდის გამგეობა იწვევს ყველა პატრიოტ, კეთილ ნების ადამიანს თანამშრომლობისა და თანადგომისათვის.

სამეგრელოს რეგიონის აღორძინების ფონდის გამგეობა.

მორიგი პროვოკაცია?!

ამას წინათ, საქართველოს ტელევიზიის ერთ—ერთ გადაცემაში, დადიანების შორეულმა შთამომავალმა, მოღხინებულმა ქალბატონმა, რომელიც ეტყობოდა, ზუგდიდური ქრონიკების ზერელე მეთვალყურე უფრო იყო, ვიდრე გულშემატკივარი, დიდი წუხილი გამოთქვა: როგორც გავიგე. დადიანების სასახლე გაუძარცავთ, გადაუწვავთ და იქ ახლა ჩემი წინაპრების აღარაფერია თურმე დარჩენილიო. ზუგდიდელებს მაშინ ამ სიტყვებმა ერთგვარი ღიმილი მოგვგვარა, რადგან არაერთგზის დალაშქრულ, გადამწვარ, დანგრეულ ქალაქში თითქმის ერთადერთი ხელშეუხებელი, შეუბღალავი დადიანების მუზეუმი დარჩა მისი თანამშრომლების ნამდვილი გმირობისა და ზუგდიდელების დაუღალავი ღვაწლის შედეგად.

ამჯერად კი, როცა ეს ყველაზე ნაკლებად მოსალოდნელი იყო ჭურდი ესტუმრა მუზეუმს.

როგორც მუზეუმის ფონდის უფროსმა მცველმა ლილი ბერაიამ გვითხრა, ბოლო, მეთერთმეტე საგამოფენო დარბაზის ვიტრინიდან გატაცებულია მეცხრამეტე საუკუნის რუსული ხელოვნების ნიმუშები, ჩაისა და ყავის სერვიზები (სულ 55 ერთეული) კუზნეცოვების საფაბრიკო დამღით. არსებობს მრავალი დაპადასტურებელი ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული მოქმედება არ ჩაუდენია ქურდს. მათ შორის ერთ—ერთი და მრავლისმეტყველი ის გახლავთ, რომ თავისი ბნელი საქმის შესრულებისას მან არაერთ უმდიდრეს ექსპოზიციას ჩაუარა თურმე გულგრილად. ქალაქშიც ხმები დადის, მუზეუმის გაქურდვა მორიგი პროვოკაციააო...

ამ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამომძიებელმა სახოკიამ ჩვენთან საუბარში შეგნებულად თავი შეიკავა განმარტება მიეცა მომხდარისათვის, ან კიდევ წინასწარი გამოძიებიდან პრესის საშუალებით ინფორმაცია მოეწოდებინა ამ საქმით დაინტერესებული მკითხველისთვის. ჩისი პასუხი მოკლე და კონკრეტული იყო: ძალიან მალე საქმე გაიხსნება, ქურდს ვიპოვითო:

ღმერთმა ქნას.

დრომ ბევრი შხამი გვასვა ზუგდიდელებს, მაგრამ ეს იმას რომ ნიშნავს, იმდენად ფავსუსტდით და დავუძლურდით ჩვენი წარსული — დედა—ისტორია ვერმეს დავანებოთ საძარცვად და წასაბილწად.

დრომ ბევრი რამ ისეთი მოიტანა, რასაც „სოციალისტურ“ და „კოლექტიურ“ აზროვნებას მიჩვეული ადამიანები ჯერ—ჯერობით ალღოს ვერ უღებენ. სასმელ—საჭმელ—შესამოსელზე ფიქრით გამოწვეულ პრობლემებს სულიერი საზრდოს დეფიციტი დ. სიძვირეც დაემატა. წიგნს და ჟურნალ—გაზეთს უზარმაზარი ფასი დაედო. თავისუფალ აზრ—ოვნებას, ადრე აკრძალულ საზღვარგარეთულ თუ სამამულო ლიტერატურას მონატრებულ ადამიანებს უჭირთ მათი შეძენა. ასეთ დროს ბევრმა მათგანმა მოიკითხა ბიბლიოთეკები და სამკითხველო დარბაზები, ჩაგრამ... იქაც აღმოაჩინდათ გასაჭირი.

ქალაქისა და რაიონის ცენტრალურ ბიბლიოთეკას არაერთგზის მოუწია „გადაბარგვა“ ერთი შენობიდან მეორე შენობაში. გულახდილად გითხრათ, არც ამჯერად არიან მაინცდამაინც შესაფერის გარემოში. მაგრამ ამაზე არ წუწუნებენ. მათი ფიქრი რაჩენაირად წიგნისთვის საკუთარი ადგილის მიჩენაა. რასაც დღემდე ვერ ახერხებენ საჭირო ინვენტარის უქონლობის გამო. რაიონის ბიბლიოთეკაში არსებული ინვენტარი პირწმინდად შეიწირა იქ გაჩენილმა ხანძარმა. ქალაქისა და რაიონის გაერთიანებულ წიგნად ფონდს ვერ იტევს აქ არსებული რამოდენიმე თარო. ისინი კარგა ხანია ერთ ოთახშია შეყრილნ. თუ დროზე არ მიიღეს ზომები, წიგნებს ნესტი და ობი მოერევა და განადგურდება. ჩოელი ზამთარი შეუმინავ ოთახებში გაატარეს ბიბლიოთეკარებმა. მათ არც სკამები აქვთ სამყოფი. სამკითხველო დარბაზის წიგნადი ფონდი დაოფილების გამგემ ფერიდე ნანავამ გვითხრა, მიმდინარე წლიდან ღებულობენ საქართველოში გამომავალ ყველა ჟურნალ—გაზეთს. რუსული პრესის რამდენიმე გამოცემას. აქვთ ახალი წიგნები. ასე რომ ისინი მზად არიან მიუხედავად ცუდი პირობებისა, მაინც მოემსახურონ მკითხველებს.

ზუგდიდელებს, რომლებიც ბიბლიოთეკების ხშირი სტუმრები იყვნენ, ახსოვთ, ბევრი შესანიშნავი ბიბლიოთეკარი მუშაობს აქ. ისინი წლების მანძილზე ეღოდიავებოდნენ წიგნებს, მათი სიხარული კმაყოფილი მკითხველი იყო. ეს ადამიანები ძალიან განიცდიან თავიანთ დღევანდელ მდგომარეობას. ფაცი—ფუცობენ, მაგრამ საკუთარი დაბალი ხელფასიდან გაკეთებული დანაზოგით ვეჭვობთ ეოხსნან საბიბლიოთეკო პრობლემები. ამიტომ, მათს სათხოვარს — გაუწოდონ დახმარების ხელი, ვის როგორ შეუძლია, გადავცემთ ყველა ჭეშმარიტ ზუგდიდელს, წიგნის მოყვარულს. ძლიერი საწარმო—დაწესებულებიის ხელმძღვანელებს.

ბიბლიოთეკის უძვირფასესი წიგნადი ფონდის დაცვა ჩარტო ბიბლიოთეკარების საქმე როდია.

ნ. მიქავა.

არ ყოფნით ინვენტარი

რეპლიკა

გონს მოდით, უგუნურებო

ვინ მოთვლის, რამდენჯერ მოგვიწონებია თავი ზუგდიდელებს ჩვენი ქალაქის კოლორიტით, მისი მოხდენილობით, სიკოხტავით. არაერთხელ დაწერილა ადგილობრივ გაზეთში შთამბეჭდავი წერილები ქალაქის წარსულზე, მის თვითმყოფად სახეზე, რომელშიაც უკანასკნელ როლს როდი ასრულებდა თავისთავადი, ეროვნული სტილით ნაგები სახლები, სხვადასხვა სახის ნაგებობები, ძირძველი პარკები, ხეივნები და ა. შ. დიახ, ჩვენს კოპწია ზუგდიდს ოდითგან მოსდევდა საკუთარი ხელწერა, გამორჩეული სხივი და ელფერი. თუნდაც საოცრად მიმზიდველი და პაეროვანი მაცხოვრის გორა რად ღირს, სადაც ასვლა ყოველთვის სიამოვნებას და შვებას გვრიდა სიცხით შეწუხებულ კაცს, რა მდგომარეობაშია იგი დღეს? ძალზე მძიმე, უსიამო შთაბეჭდილების მომგვრელია აქაურობა. გაპარტახებულ, იავარქმნილ რესტორანზე არაფერს ვამბობთ. მისი შემოგარენი, სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ სხვადასხვა ჯიშის ხეთა ვარჯები სასიამოვნო ჩეროს ქმნიდნენ, ვიღაც უხეშ ძალას ერთიანად მოუთარეშ გაუთელია. რაოდენ გულგრილი უნდა იყო ბუნების მიმართ, რომ ქალაქის საერთო საკუთრებად შერაცხული ეს მწვანე ოაზისი საკუთარი მერკანტილური მიზნებისთვის გაჩეხო და გაავერანო, უყურებ ნაჯახიანი ხელით წამოქცეულ ვეება ხეებს და გულს სიმწრით გეკუმშება. გონებას ბურღავს ფიქრი: ნუთუ არავინ არ ნახა ამდაგვარი ძალადობა ბუნების მიმართ. ნუთუ ადამიანებს, ან სპეციალური სამსახურის წარმომადგენლებს გული ისე გაგვიქვავა რაღაც უხილავმა ძალამ, რომ ყველას თვალწინ საავკაცოდ შემართულ არაკაცს თვალს ვუხუჭავთ?

არა, ბატონებო! ჩვენ თუ ასე ვაჩანაგეთ საკუთარი საცხოვრისი და მისი მწვანე სამოსელი, სულ მალე ზუგდიდს ხომალოდ ხრიოკ ადგილს დავამსგავსებთ.

ვიფიქროთ ამაზე და დროზე გადავდგათ ნაბიჯები, თორეც მერე გვიანი იქნება თითზე კბენან და ვაივიშიც არას გვიშველის.

რ. გოგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლტოლვილები

ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში გამოვლილს არ მეგონა რამე გამაკვირვებდა, მაგრამ ამ ერთი სიცოცხლის მანძილზე ჩემთვის უცხოს დაუჯდებდია, კიდევ ბევრი რამ მენახა და განმეცადა. საკუთარ მამულში ტყვეობა გამოვლილი ადამიანების ჭირ-ვარამიც გამიზიარებინა.

—კვიტოლში ქართველებსა და აფხაზებს შორის შუღლი და მტრობა არ მახსოვს ყოფილიყო,— ამბობს ბაჯა გოგოხია,— პირიქით. ერთმანეთში დამოყვრებულები ვიყავით. ჩემი ქალიშვილი ნანული აფხაზს მითხოვდა. შვილიშვილები აფხაზები მყავს. ერთი გვქონდა ჭირი და ლხინი...

—გეთანხმები, ბატონო ბაჯა, მაგრამ რას მივაწეროთ, რაც დღეს ხდება?!

—გაუგონარი რამ ბატონო!... ერთი სისხლის და სარჯის ადამიანები ერთმანეთს ვძარცვავთ და ვხოცავთ. აი, უკვე, ოთხმოცისანი ვხდებით და ასეთი რამ ზღაპარშიც არ გამიგონია... ჩვენი ჯარისკაცები რომ შემოვიდნენ, ნანულიმ თავისი ოთახები დაუთმო ოჩამჩირეში. ხუთნი იყვნენ. ნანულის წასვლისთანავე, მისი ოჯახის ნივთებიდან რაც თვალში მოუვიდათ ცალკე დაულაგებიათ. მერე მძღოლი უშოვიათ, შეპირებიან: რადგან ზუგდიდში არ გაგვატარებენ, ტვირთი გალამდე მაინც უნდა წავიღოთო. თუ იქაც ვერ გავყიდით, ნახევარ ფასად მოგცემთო. მძღოლი ჩვენი ახლობელი გამოდგა და როცა ნანულის ბინაში მიიყვანეს უარი განაცხადა ტვირთის წაღებაზე. ვითარება ნანულის შეატყობინა.

ნანულიმ ჯარისკაცებს მიაკითხა შინ არავინ დახვდა. მერე გავიგეთ, რომ ოთხი მათგანი ლაბრასათვის ბრძოლაში დაღუპულა. ყველაფერი წაეღოთ, ოღონდ ცოცხალი დარჩენილიყვნენ!...

—თქვენ როგორ დააღწიეთ თავი ტყვეობას?— ვეკითხები ბაჯას

—ომის დაწყებისთანავე მთელი ოჯახი გავხიზნე ზუგდიდში. მხოლოდ მე დავრჩი ოჯახში. პირუტყვს და ფრინველს ვუ ლიდი. უკანასკნელად, ძროხები ის იყო მოვწველე, რომ მოვიდნენ ბანდიტები და წამართვეს. ნალიიდან სიმინდი წაიღეს. ათი გრამი ოქრო შემაწერეს. საიდან უნდა მომეტანა?! ვხედავდი, დარჩენა სიკვდილი იყო. ერთი კეთილი მეზობელი გამოჩნდა. ფრონტის ხაზი გამომატარა და ხედავ, უკვე თქვენთან ვარ.:: ყველაფერზე უფრო ის მტანჯავს, რომ გააფხაზებულ ქართველებს სული ეშმაკისთვის მიუყიდიათ.

...ბატონი ბაჯას რძალი, ნონა კონჯარია, დარჩელში, თავისი ძმის, აკაკის ოჯახში, თავს დასტრიალებს თავის დედამთილს და მამამთილს, ბაჯას და ძაბას. ბონდო და მისი ვაჟიშვილები: მეცხრე კლასელი დათო და მეშვიდე კლასელი გელა სულ განაბულნი უსმენენ ტყვეობიდან დაბრუნებულ ბაბუას და ჩვენ, ყველანი ერთად, გულში ვწყევლით იმათ, ვინც ეს ძმათამკვლელი ომი გააჩაღა, ვინც სწავლის უფლება წაართვა დათოს და გელას, ცოტნეს და გიორგის!:.

ანტონ არნანია.

პურკომბინატში პური არ უნდა გაიყიდოს

რედაქციაში არაერთი განაწყენებული მოქალაქე მოვიდა: ქალაქში არსებული მრავალი პურის მაღაზიიდან სულ რამდენიმეში გამოაქვთ პური და ისიც დიდი შეფერხებებით. ხშირად ადგილი აქვს ფასდამახინჯებებს. არის შემთხვევები, როცა პურის რაოდენობის სიმცირის გამო სახელმწიფო სექტორის მაღაზიაში ვერ გამოაქვთ პური, მის გვერდით გახსნილ კოოპერატივში კი რამდენიც გნებავთ იყიდებ,—მხოლოდ ფას მომატებითო.

რედაქციამ ამ საკითხზე განმარტება თხოვა ზუგდიდვაჭრობის სამმართველოს უფროსს ი. ალშიბაიას:

პურით ვაჭრობის საკითხი დღეისათვის ერთ-ერთი უმთავრესია ჩვენს სფეროში.

უტრანსპორტობა, საწვავის უქონლობა ხელს უშლის პურკომბინატის ხელმძღვანელობას ორგანიზაცია გაუკეთოს პურის გადაზიდვას ქალაქის სხვადასხვა უბანში განლაგებულ სავაჭრო ობიექტებში. ფაქტიურად ქალაქის ცენტრში მხოლოდ ორი მაღაზია მარაგდება, არადა ქალაქვაჭრობას ოფიციალურად არ შეუმცირებია პურით მოსამარაგებელ მაღაზიათა რიცხვი. როგორც ჩანს, პური არ ცხვება საკმარისად. ამჟამად იგი საერთოდ არ ცხვება.

მოგეხსენებათ, რაიონის პურკომბინატი არ მუშაობს. მთელი ქალაქი და სოფელი აწვება ქალაქის პურკომბინატს მოსახლეობა ადგილზე მიდის პურის საშოვნელად. ზედ დამატებული, კომბინატმა იქვე, საწარმოსთან ახლოს, საფირმო მაღაზიაც გახსნა. ვიმეორებ პური ცხვება ცოტა. თუ ადრე ჩვენს მიერ წარდგენილი განაცხადის მიხედვით პურკომბინატი გვაძლევდა 23 ათას ცალ პურს, ამ ბოლო დროს მხოლოდ ხუთი ათას ცალს თუ გამოგვიგზავნის. იმასაც, ის მაღაზია ჩაიგდებს ხელთ, ვისი გამყიდველიც დილაუთენია მიდის პურკომბინატში ან სულაც იქ გაათევს ღამეს. მერე ამას, რა თქმა უნდა, მოჰყვება ფასდამახინჯება, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს. გამოსავალი ერთია, პურკომბინატში აუცილებელია გაძლიერდეს დაცვა და სასტიკად აიკრძალოს ადგილზე გაყიდვა. მხოლოდ ამის შემდეგ თუ იქნება შესაძლებელი ქალაქის სავაჭრო ობიექტების პურით ნორმალურად მომარაგება.

რაც შეეხება კოოპერატივებში პურკომბინატში გამომცხვარი პურის ფასმომატებით ვაჭრობას, ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ, ვფიქრობ დაუშვებელია.

ლიტერატურული ალმანახი მალე გამოვა

საქართველოს უძველეს კუთხეს—სამეგრელოს ყოველთვის შეჰქონდა თავისი ღირსეული წვლილი ქართულ სულიერ ცხოვრებაში, ქართული კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების ნებისმიერი დარგის განვითარებაში.

ამიტომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რეგიონალური ჟურნალის დაარსებას, რომლის ცენტრად და რედაქციის ადგილსამყოფელად ქალაქი ზუგდიდი იქცა. ზუგდიდი არჩეულ იქნა არა მარტო იმიტომ, რომ ისტორიულად და დღესაც სამეგრელოს ცენტრად ითვლება, არამედ იმიტომაც, რომ ამგვარი ჟურნალის დაარსებას სწორედ ზუგდიდელი ინტელიგენციის ინიციატივა და მცდელობა უძღოდა წინ.

ზუგდიდელ ავტორთა ლიტერატურულ - პუბლიცისტური კრებულები, ადრეულ წლებშიც გამოცემულა, მაგრამ პირველი რეგიონალური ალმანახის გამოცემის ცდა იყო 1988 წელს „ეგრისის" დაბადება ალმანახის გამოცემა რეგიონში, ბუნებრივია, ურთულეს ტექნიკურ და სხვა ხასიათის სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამიტომ მომდევნო რეგიონალური ალმანახი მხოლოდ 1991 წელს გამოვიდა ამჯერად უკვე—საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის ახალდაარსებული რეგიონალური ორგანიზაციის ორგანოს სახით. მართალია მას ამჯერად „ენგური" ერქვა და №1 ნუმერაციით გამოვიდა, მაგრამ „ეგრისის" გამოცემა, მწერალთა კავშირის რეგიონალური ორგანიზაციის დაარსება და „ენგურის" გამოსვლა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენებია. მკითხველებმაც და მათ გამოცემაში მონაწილეებმაც „ენგური" „ეგრისის" გზის გაგრძელებად, მემკვიდრედ აღვიქვით. დიდი ხანია დასაბეჭდად მზადაა „ენგურის" მეორე ნომერი და იგი ჯერჯერობით უსახსრობის გამო ვერ გამოდის.

ჩვენში ადრე ჟურნალ-გაზეთები ცენტრალიზებული წესით იბეჭდებოდა. ზუგდიდში გამომავალი რეგიონალური ალმანახიც თავისი სახსრებით უნდა

დაბეჭდა გამომცემლობა „მერანს". „ეგრისიცა" და „ენგურის" პირველი ნომერიც აქ გამოიცა მაგრამ საგამომცემლო საქმის შემდგომმა ეკონომიურმა და სტრუქტურულმა რეფორმებმა აუცილებელი გახადა ალმანახის რედაქციის დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულად ჩამოყალიბება. სათანადო დოკუმენტების მომზადებასა და შემდგომ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად ალმანახის რეგისტრაციაში გატარებას გარკვეული დრო დასჭირდა. საქართველოში დატრიალებული ტრაგიკულ მოვლენებთან ერთად ესეცაა მიზეზი ალმანახის მომდევნო ნომრების გამოსვლის შეფერხებისა.

გათვალისწინებულ იქნა რა რეგიონის ლიტერატორთა სურვილი, ალმანახი რეგისტრაციაში გატარდა „ეგრისის" სახელწოდებით და მისი „პირველი" ნომერი №3 ნუმერაციით გამოვა „ენგურის" მეორე ნომრის დაბეჭდვის შემდეგ. ამით რედაქციის დღევანდელი კოლექტივი საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ დღევანდელ ალმანახს „ყამირზე" არ უწევს მოღვაწეობა, იგი მდიდარი მემკვიდრეა და მისი ვალია ღირსეულად გააგრძელოს რეგიონში არსებული შესანიშნავი ლიტერატურული ტრადიციები, რაც მრავალი თაობის შემოქმედებითი შრომის, ნიჭისა და ტალანტის შედეგია.

ალმანახ „ეგრისის" მიზანია ემსახუროს საქართველოს, მისი რეგიონის— სამეგრელოს კულტურული, ზნეობრივი და სულიერი ცხოვრების განვითარება-ამაღლების საქმეს; ერისა და პიროვნების, სინდისისა და აზრის თავისუფლების იდეალებს; გამოავლინოს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები და პროპაგანდა გაუწიოს მათ ნაწარმოებებს: აქტიურად ჩაებას სრულიად საქართველოს კულტურულ და სულიერ ცხოვრებაში და იღვაწოს იმისათვის, რომ ამ სფეროში მიღწეული ყოველი წარმატება საერთო-სახალხო კუთვნილებად იქცეს. ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას ერის სულიერი აღორძინება უნდა უძღოდეს წინ.

მის წინაშე მდგარი უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანების განხორციელებაში ალმანახის რედაქციას პირველ რიგში რეგიონის ინტელიგენციის, რეგიონში მცხოვრებ ლიტერატორთა, ხელოვნების მოღვაწეთა, მეცნიერთა დახმარების იმედი აქვს. მათ შორის ზოგიერთი საყოველთაოდაა სახელმოხვეჭილი. მათ თანადგომას ჩვენ განსაკუთრებულ, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას—გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ჭეშმარიტი შემოქმედება —ეს ხომ ჭეშმარიტი ნიჭისა და ტალანტის გამოვლენაა, ნამდვილი ნიჭისა და ტალანტის ხიბლს უპირველეს ყოვლისა ისევე შემოქმედი იგრძნობს ხოლმე და რა უნდა იყოს შემოქმედებითი რედაქციის კოლექტივისათვის იმაზე საიმედო, ვიდრე ნამდვილი ნიჭისა და ტალანტით შემკობილთა თანადგომაა.

იმ მიზნით, რომ მჭიდრო კონტაქტები დავამყაროთ რეგიონში მცხოვრებ ყველა შემოქმედთან და მათაც გაუადვილოთ ალმანახის რედაქციასთან კავშირი, გვსურს რეგიონის ყოველ რაიონში ჩამოვაყალიბოთ საკორესპონდენციო - შემოქმედებითი ცენტრები, რომელთაც ადგილობრივი ლიტერატორები უხელმძღვანელებენ. საკორესპონდენციო - შემოქმედებითი ცენტრები არა მარტო შეარჩევენ „ეგრისის" რედაქციისათვის დასაბეჭდად გადასაცემ მასალებს, არამედ გარკვეულ წილად ალბათ რაიონის შემოქმედებით ცხოვრებასაც უწინამძღოლებენ.

დღევანდელ, მზარდი ინფლაციის პირობებში ალმანახის გამოცემა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. აქ, ბუნებრივია, დიდი იმედი გვაქვს პირველ რიგში ქალაქ ზუგდიდის, აგრეთვე რეგიონის სხვა რაიონების მმართველობებისა და საფინანსო განყოფილებების ხელმძღვანელებისა, მაგრამ ამასთან ერთად, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებში, და ცივილიზებულ საზოგადოებში, ხდება ხოლმე, ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ თავიანთ სიტყვას იტყვიან სპონსორი ორგანიზაციები, ფირმები, საწარმოები... განზრახულია, ალმანახის რედკოლეგიასთან ერთად შეიქმნას სპონსორთა საბჭო, რომლის შემადგენლობაც ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე აღინიშნება ალმანახზე. საბჭოს შემადგენლობაში შევლენ ფირმათა, საწარმოთა ის ხელმძღვანელები და პიროვნებები, რომლებსაც თავიანთ პატრიოტულ - მამულიშვილურ მოვალეობად მიაჩნიათ, ხელი შეუწყონ სამეგრელოსა და სრულიად საქართველოს კულტურული ცხოვრების განვითარებას და ამ მიზნით სათანადო ფინანსურ წვლილს შეიტანენ ალმანახის გამოცემაში, როგორც ზუგდიდში, ასევე რეგიონში ასეთი მამულიშვილი ბევრი — გვეგულება.

დღესდღეობით ალმანახის რედაქციას თავისი ადგილსამყოფელი არ გააჩნია. შენობა, სადაც რედაქცია საქართველოს მწერალთა კავშირის რეგიონალურ განყოფილებასთან ერთად იმყოფებოდა, სამწუხაროდ გაპარტახდა. ამიტომ ავტორებს ვთხოვთ, ალმანახ „ეგრისში" გამოსაქვეყნებლად გამიზნული მასალები მიიტანონ და დატოვონ გაზეთ „ოდიშის" რედაქციაში ბატონ ჯამბულ არქანიასთან. ხელნაწერთან ერთად უნდა იყოს ავტორის ფოტოსურათი (არანაკლებ 4X6 მმ) და მისამართი (სასურველია ტელეფონის ნომერი).

ალმანახის რედაქციას ძალზე ძნელი ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა მოუწევს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ რეგიონისა და საქართველოს კულტურასა და სულიერ ცხოვრებაზე მზრუნველ ადამიანთა ხელშეწყობით ყოველივე სიძნელეებს დავძლევთ და ალმანახის მორიგ ნომრებს მალე იხილავს მკითხველი.

მურად ჟანტურია,
ალმანახ „ეგრისის" მთავარი რედაქტორი.

ქველმოქმედება

იმედია, თანაუგრძნობთ!

მანანა ვასოს ასული თორდია შაუმიანის ქუჩაზე ცხოვრობს. რომ იტყვიან, ზედ ჩხოუშის სანაპიროზე. წლების მანძილზე მცირე წყალდიდობებიც აწიოკებდა მის ოჯახს, მაგრამ 1992 წლის წყალდიდობამ საერთოდ აიძულა ეს ქვრივი ქალი ორი შვილით, დედამთილთან ერთად დაეტოვებინა წლების მანძილზე ნაოფლარი სახლ-კარი. ადიდებული მდინარე სახლში შეიჭრა და საძირკველი გამორეცხა, საცხოვრებლად უვარგისი გახადა.

უჭირს მარტოხელა ქალს ოჯახის რჩენა და თან სახლკარის განახლებაზე ზრუნვა. დღევანდელი ფინანსური მდგომარეობა, თუ კეთილი მეგობრების დახმარება და თანადგომა არა, ჭერის გარეშე ტოვებს მის შვილებს.

იმედია ზუგდიდელები ჩვეული გულმოწყალებით გაუწევიან დახმარების ხელს თორდიების ოჯახს. მათ სახელზე ზუგდიდის შემნახველ ბანკში გახსნილია ანგარიში №55549.

ცხონება

ნიკოლოზ ჩაჩიბაია

ენგურქაღალდკომბინატის კოლექტივს გამოაკლდა ნიჭიერი ორგანიზატორი ნიკოლოზ კირილეს ძე ჩაჩიბაია, რომელმაც მშობლიურ საწარმოში განვლო გზა რიგითი თანამშრომლიდან ხელმძღვანელ მუშაკამდე.

წლების მანძილზე მუშაობდა დირექტორის მოადგილედ კადრებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში, ბოლო დროს იყო კომბინატის მუზეუმის დირექტორი.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეს მიღებული ჰქონდა საბრძოლო მედლები, სრულიად ჭაბუკი, 1948 წელს მოვიდა იგი საწარმოში. გამოცდილი მექაღალდეთა გვერდით გაზრდილი, შემდგომ თავად გახდა ახალგაზრდების აღმზრდელი და მეგობარი. დიდად პუნქტუალური, დაკვირვებული, შესანიშნავი ორგანიზატორი, შესაშური აკურატულობით ასრულებდა მინდობილ საქმეს. დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით, კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა კოლექტივში.

მსუბუქი იყოს ვალმოხდილისათვის მშობლიური მიწა.

ენგურქაღალდკომბინატის კოლექტივი.

ვაი, სიცოცხლეო...

საქართველოს მომავალს ეწირება ახალგაზრდობა. შენ? შენ რისთვის პეტო...

25 მაისს სკოლის დამთავრების ათი წლისთავზე მივაბარეთ ზუგდიდის მიწას. მილოცვების მაგიერ ღიმილი—ცრემლმა შეცვალეს, თაიგულები—გვირგვინებმა.

თანაკლასელებში გამორჩეული იყავი ადამიანურობით, უწყინარობით, კეთილშობილებით. ღმერთმაც პირველი შენ აგირჩია კარგი და კეთილი.

31 ივლისს, შენი დაბადების დღეს უშენოდ შევხვდებით შენი საყვარელი მეუღლე თამუნა. პატარა ლევანი, მშობლები, მეგობრები, ამხანაგები. ძნელი ყოფილა დაიჯერო, რომ აღარ არის პეტო მაცის ძე ხვიტია.

„ვაი, სიცოცხლეო, უკუღმართო, დანაცარებო...

თანაკლასელები.

გვიანი სამადლობელი...

თემურ ვაწაძეს მთელი ზუგდიდი იცნობდა. ჩინ-მედლებისა და თანამდებობების გარეშე მოიგო თანაქალაქელების გული, პატიოსანი, ალალმართალი ბიჭი იყო. მოყვასისთვის არაფერს დაიშურებდა, ამრეზით მაცქერალს დიდსულოვნად მიუტევებდა ცოდვას.

ზუგდიდის ცენტრალური შემნახველი ბანკის თანამშრომლებს იმ ცნობილი ხანძრის შემდეგ შეგვაყვარა თავი, მთელი ჩვენი შენობა და საყუდელი რომ დაგვეფერფლა... იმ დღეს თემური ნამდვილი გმირი იყო. ვეფხვივით ებრძოდა ცეცხლს. საკუთარი ხელით, სათითაოდ გამოიტანა ალმოდებული ოთახებიდან საქმიანი თუ ფ სიანი ქაღალდები და ბევრი რამ ისეთი, რისი გადარჩენაც ჩვენი შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი იყო. ხანძარმა რომ იძალა, ძმაკაცები ეხვეწებოდნენ: „ვაწა (ასე ეძახდნენ სიყვარულით), არ გაბედო ისევ შენობაში შესვლა თორემ ფეხებს მოგამტვრევთო".

ზარი იყო ჩვენთვის თემურ ვაწაძის გარდაცვალება ისე წავიდა, ვერ მოვეფერეთ, თბილი სიტყვა ვერ ვუთხარით.

მიიღე, ძმაო, ეს გვიანი სამადლობელი ჩვენგან.

მარად გვემახსოვრები...

ზუგდიდის ცენტრალური შემნახველი ბანკის თანამშრომლები.

მამია სამუშია

გუშინ, ორ ივნისს შენი დაბადების დღე იყო მამიკო. მე და დედამ, სხვებმაც ვარდყვავილები მოგიტანეთ, სანთლები აგინთეთ და ასე „მოგილოცეთ" სამოცი წელი. მესამე გაზაფხული გადის უშენოდ, მაგრამ ასე მგონია თითქოს გუშინ თუ გუშინწინ მეფერებოდი, მეალერსებოდი... როგორ მიხაროდა მაშინ და რა ძლიერ, ძლიერ მენატრები ახლა!

დედა შენს სურათს თვალს შეავლებს და ტირის. ვხვდები, დედას არ უნდა ცრემლი დამანახოს, მაგრამ... მე უკვე დიდი ვარ— რვა წლისა. მიხარია და მეამაყება, როცა მეზობელ-ახლობლები მეტყვიან, მამაშენი კაცური კაცი იყო, ნამუსიანი და სიკეთით სავსეო. გჯეროდეს, მეც ასეთივე ვიქნები, არ შევარცხვენ შენს ძვირფას სახელს.

ახლა კი მშვიდობით. გაზაფხულის ყვავილებს ხვალაც მოგიტან, ზეგაც...

შენი შვილი მერაბი.

ლეო შენგელია

როცა ომობდი, თურმე თავად იღებდი ინიციატივას ტყვიების წვიმაში შეგეღწია მტრის ზურგში და მწყურვალი ჯარისკაცებისათვის მოგეტანა წყალი:.. აქედან დაწყებული ადამიანთა დაპურებას, მათ სამსახურს შეალიე სიცოცხლე. კულინარიის ჯადოქარს მრავალგზის განგიცვიფრებია ქართველი თუ უცხოელი სტუმრები. შენი არქივი სავსეა მადლობებით, სიგელებით, ჯილდოებით. ზუგდიდიც მადლობელია შენი ალალმართლობისთვის, ხალასი ხასიათისათვის, ზრდილობისა და ეთიკისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებულ მუშაკს, ქართული კერძების დამზადების ხელოვანს, სამაგალითო მამულიშვილს, რესტორან „ოდიშის" დირექტორს გეთხოვება შენი ზუგდიდი. შენ ლამაზი ხელწერა დაუტოვე ქალაქს. არა ერთი კუთხის კულინარებს შეასწავლე კოლხური კერძების დამზადების ხელოვნება. პირველობდი რესპუბლიკაში.

ობლობაში გაზრდილს, გეცოდებოდა ხელმოკლე ადამიანები, შენ იყავი მათი ნუგეში და შემწე:..

გიგულებთ ცოცხლებში კეთილო ლეო.

შენი მეგობრები.

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს ა. გუკასიას სახელობის ქ. ზუგდიდის №62 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის ცხრაკლასდამთავრებულთა ბაზაზე სამწლიანი სწავლების ვადით შემდეგ სპეციალობებზე.

1. ხარატი—ერთი ჯგუფი. 2. კალატოზი, ფილადისა და რკინა ბეტონის კონსტრუქციის მემონტაჟე —ერთი ჯგუფი. 3. შიდა სანტექნიკური სისტემებისა და მოწყობილობების მემონტაჟე, აირშემდუღებელი — ერთი ჯგუფი. 4. მკერავი—ერთი ჯგუფი.

საშუალო დამთავრებულთა ბაზაზე ერთწლიანი სწავლების ვადით შემდეგ სპეციალობებზე. 1. მოლარე-მოანგარიშე—ერთი ჯგუფი. 2. მკერავი—ერთი ჯგუფი. 3. ავტოშემკეთებელი ზეინკალი ავტომობილის მართვის უფლებით —ერთი ჯგუფი. სასწავლებელში სწავლა უფასოა, გარდა ამისა მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან ტანსაცმლით, კეთილმოწყობილი ბინით და 1000 მანეთის ოდენობის სტიპენდიით. ასევე მიეცემათ საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის ორმოცდაათი პროცენტი.

სასწავლებელში კურსდამთავრებულებს მიეცემათ დიპლომები. სასწავლებელში სწავლის პერიოდი ჩაითვლება საერთო და უწყვეტ სტაჟად. ყველა კურსდამთავრებული სასწავლებელში მინიჭებული კვალიფიკაციის მიხედვით სამუშაოზე განაწილდება ქალაქის წარმოება-დაწესებულებებში. მსურველებმა უნდა შეიტანონ შემდეგი საბუთები: განცხადება დირექტორის სახელზე, ფაკულტეტის ჩვენებით განათლების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 286 ან 986 უ), 6 ცალი ფოტოსურათი (ზომით 3X4) და ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. სასწავლებელში ჩაირიცხებიან 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონები და ვაჟები.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ სასწავლებლის დირექციას.

მისამართი: ზუგდიდი, კიროვის ჩიხი №3, ტელეფონი: 2-32-87.

დირექცია.

მიმდინარეობს ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე 1993 წლის მეორე ნახევრისათვის.

ხელმოწერა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებზე მიიღება 15 ივნისამდე.

კავშირგაბმულობის ზუგდიდის საწარმოო სამმართველო.

შვილი გურამი, რძალი დისო ანთელავა, შვილიშვილები: გიორგი, ელენე, ეკატერინე, შვილთაშვილი მართა, და ეთერი, დისშვილი ლეილა, მულები: ვერა და ნუცა, მულისშვილი ირა, მზახალი ცაცა გეთია, სიძეები: ბაგრატ ლატარია, თენგიზ მანია, ალბერტ ჩახაია კახა ხვიჩია იუწყებიან

შურა კოწიას ასულ ჩილაჩავა-ნაჭყებიას

გარდაცვალებას, დაკრძალვა 3 ივნისს. გამოსვენება 5 საათზე, რუსთაველის 214-დან.

მეუღლე რეზო მაქაცარია, შვილები: მანანა, ქეთინო, დავითი, რძლები ეკა ჯგუშია, ელისო შველიძე, სიძეები დავით ყურაშვილი ბესარიონ სვანიძე, შვილიშვილები ირაკლი, ნიკა, გიორგი, ბექა, მულები: ეთერი, იზოლდა, ძმისშვილები: მაია, ნონა, მულიშვილი მამუკა კალანდია, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარინა იაკობის ასული შველიძე-მაქაცარია.

პანაშვიდი 3, 4 ივნისს. დაკრძალვა 5 ივნისს, შაბათს. ქ. ზუგდიდში, გამოსვენება სოხუმის ქ: 43-დან 17 საათზე.

მეუღლე ლორა გრიგოლია, შვილი ლიკა, და ნელი, ძმები: აკაკი ჭანტურია, ადიკო გვალია, რძლები, ჟუნა, ზაირა, ლიანა, ქეთინო, მარინა, სიძეები: დურუ მაქაცარია, ნოდარ ჭითანავა, თორნიკე ჯოჯუა, პალიკო კაკულია, ჯულელი გადელია, ძმისწულები: ქეთინო, გოგი ჭანტურიები, დისწულები: ქეთინო, კოტე მაქაცარიები, ცოლისდა ნარგიზა, ცოლისძმა ზაური გრიგოლიები, ცოლისძმისშვილები მაია, დათო გრიგოლიები, ცოლისდისშვილები: ელისო, ელიტა კაკულიები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვლადიმერ (ლადო) ალექსანდრეს ძე ჭანტურია.

დაკრძალვა 3 ივნისს, ქ. ზუგდიდში, გამოსვენება რუსთაველის ქ. №195-დან 16 საათზე.

მეუღლე შუშანა, შვილები: ბიჭუნა, ნატო შეროზიები, რძლები: ლუდა ჯაბუა, ეთერ ციმინტია, ეთერ ლომაია, შვილიშვილები: სოფიკო, მიშიკო შეროზიები, ძმა იპოლიტე, ტატაჩი, და თინა, სიძე ემელიანე ჯალაღონია, მზახლები: დურუ, ნათელა ჯაბუები, ცოლისდები: მაელა, ფაციკო, მარგო, შედანიები, ძმისშვილები: თენგო, დათო, გოდერძი, მანანა, ლანა, ლელა, ეკა შეროზიები, დისშვილები: ასმათი და დათო ჯალაღონიები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილებითა და ახლო ნათესავებით იუწყებიან

მიშა პეტრეს ძე შეროზიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4 ივნისს. დაკრძალვა 5 ივნისს გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ვოროვსკის ქ. 45—დან.

სარედაქციო კოლეგია

გაზეთ „ოდიშის" რედაქციისა და ზუგდიდის სტამბის მუშაკები თანაუგრძნობენ აკაკი ჭანტურიას ძმის

ლადოს

გარდაცვალების გამო.

საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწველის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ნიკოლოზ კირილეს ძე ჩაჩიბაიას გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შემნახველი ბანკის ზუგდიდის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ თინა კვანტალიანს მამის სამუელის გარდაცვალების გამო.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ 56 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-47-00, 2-38-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-21-93, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის

კომუნიკაციის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-22-97, ტირაჟი 700, შეკ: №164